ხელშეკრულება №88

«16« მარტი 2015 წ. ქ.თბილისი

1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტისა და 2011 წლის 7 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ერთის მხრივ (შემდგომში **შემსყიდველი**) საქართველოს დაზვერვის სამსახური (მისამართი: ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. №4). IV დირექტორატის უფროსის მოადგილის ვარლამ ბზიკაძის სახით და მეორეს მხრივ (შემდგომში **მიმწოდებელი**) შპს Geovoice (მისამართი: ქ.თბილისი, ჯორჯაძის N 5ა) მისი დირექტორის თეონა ბერაძის სახით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

საკომუნიკაციო აპარატური მონტაჟის (CPV 513) შესყიდვა. კერძოდ, საქართველოს დაზვერვის სამსახურის ორგანიზებით ჩასატარებელ ღონისძიებაზე გახმოვანების სისტემის, აუდიო მიქშერის, უკაბელო მიკროფონის და კონდესატორული ტრიბუნის მიკროფონის მონტაჟი და მომსახურება.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება 380 (სამასოთხმოცი) ლარით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ეტაპობრივი ვადები

მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა 2015 წლის 18 მარტს, შემდეგ მისამართზე: თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია.

5. მიღება ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შემსრულებელი.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვების ობიექტების წუნდების მიზეზების მითითებით.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

შესყიდვის ობიექტი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

7.1 ანგარიშწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების წესით.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს თანხის გადარიცხვა, მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში შემოტანილი საქონლის საერთო ღირებულების შესაბამისად.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს მის მიერ მოთხოვნილი შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს

ფაქტობრივად გაწეული მომსახურების საფასური ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე დროულად გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.
9.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით.
9.3 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველს ან მიმწოდებელს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.
9.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არშესრულება განიხილება, როგორც ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.
9.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით (გარდა საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებისას) გარემოებათა დასრულების შემდეგ.
10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 16 მარტიდან 2015 წლის 30 აპრილამდე.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ შესყიდვის ობიექტი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
13.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტი ან ნაკლი.
13.3. ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

14.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.
14.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია გამართოს მოლაპარაკებები მეორე მხარესთან შესაბამისი ინფორმაციის შესახებ ან წერილობით აცნობოს მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.
14.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
14.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
14.5. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების ცვლილებათა შესახებ არაუგვიანეს 10 დღისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს

შემსყიდველი: IV დირექტორატის უფროსის
მოადგილე ვარლამ ბზიკაძე ხელმოწერა ----------
(შემსყიდველის სახელი, გვარი, თანამდებობა) მ.ა.

საბანკო რეკვიზიტები
შემსყიდველის ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: №GE24NB 0330 1002 0016 5022
საინდეტიფიკაციო კოდი: 204469583

მიმწოდებელი: შპს Geovoice
დირექტორი თეონა ბერაძე ხელმოწერა ----------
(მიმწოდებელის სახელი, გვარი, თანამდებობა) მ.ა.

საბანკო რეკვიზიტები
მომწოდებლის ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“
კოდი:BAGAGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: №GE10BG000 0000620830700
საიდენტიფიკაციო კოდი: 406046844